



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1340
20/07/2018

ქალაქი ბათუმი

1340-05-4-201807201757



მკაცრი აღრიცხვის ფორმების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების შენახვაზე, გაცემაზე და აღრიცხვა - ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმები“-ს შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 დეკემბრის №35 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

1. მკაცრი აღრიცხვის ფორმების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვაზე, გაცემაზე და აღრიცხვა - ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს - ნუნუ მამულაიშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

2. მკაცრი აღრიცხვის ფორმების - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შენახვა, გაცემა და აღრიცხვა - ანგარიშგება მოხდეს „მკაცრი აღრიცხვის ფორმები“-ს შესახებ საქართველოს კანონისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 12 დეკემბრის №35 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების - გამგების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების შენახვაზე, გაცემაზე და აღრიცხვა - ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2008 წლის 29 დეკემბრის №668 ბრძანება.

4. დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა